საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1253-03
30/08/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N9 სხდომის გადაწყვეტილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 27 აგვისტოს N14898-35 და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 27 აგვისტოს N14903-35 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ამ ბრძანების პირველი დანართის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სალექციო და საგამოცდო პერიოდის გრაფიკი ამ ბრძანების მეორე დანართის შესაბამისად;
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების მხოლოდ პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ირინა ბაზღაძეს ამ ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული დანართი გააცნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსის" მეშვეობით;
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი